

შპს მაგალ

2022 წლის ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება ზარალის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6


შპს „მაგალ“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.12.2022-ის თარიღისთვის

	შენიშვნა	12/31/2022 ლარი	12/31/2021 ლარი	12/31/2020 ლარი
აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	1,553,594	2,052,607	1,355,482
ბიოლოგიური აქტივი		160,888	201,111	201,111
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,714,482	2,253,717	1,556,593
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		170,091	1,137,137	84,381
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		-	31,027	3,896
სხვა მიმდინარე აქტივები	5	6,010,643	5,248,125	2,496,315
სულ მოკლევადიანი აქტივები		6,180,734	6,416,288	2,584,591
სულ აქტივები		7,895,216	8,670,006	4,141,185
ვალდებულებები				
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		7,401,399	6,776,871	3,976,833
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		7,401,399	6,776,871	3,976,833
საგადასახადო ვალდებულებები		53,568	48,122	-
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	6	3,011,007	3,110,826	395,675
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		3,064,575	3,158,948	395,675
სულ ვალდებულებები		10,465,975	9,935,819	4,372,508
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		1,073,964	59,173	55,173
გაუნაწილებელი მოგება		(3,644,722)	(1,324,986)	(286,496)
სულ საკუთარი კაპიტალი		(2,570,759)	(1,265,813)	(231,323)
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		7,895,216	8,670,006	4,141,185

შპს მაგალ

დირექტორის მინდობილი პირი დავით აბრამიშვილი




შპს „მაგალ“

მოგება ზარალის ანგარიშგება 01.01.2022 - 31.12.2022 პერიოდისთვის

	შენიშვნა	2022 ლარი	2021 ლარი
ამონაგები	7	2,144,591	2,470,637
ამონაგების თვითღირებულება		(1,930,132)	(2,223,574)
საერთო მოგება		214,459	247,064
ადმინისტრაციული ხარჯები	8	(2,272,577)	(1,167,753)
ფინანსური შემოსავალი / ხარჯი	9	(79,871)	(78,035)
არასაოპერაციო შემოსავალი / ხარჯი	10	(181,748)	(39,766)
მოგება დაბეგვრამდე		(2,319,736)	(1,038,490)
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება/ზარალი		(2,319,736)	(1,038,490)

შპს მაგალ

დირექტორის მინდობილი პირი დავით აბრამიშვილი




შპს „მაგალ“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 01.01.2022 - 31.12.2022 პერიოდისთვის

	საწესდებო კაპიტალი ლარი	სარეზერვო კაპიტალი ლარი	გაუნაწილებელი მოგება ლარი	ჯამი ლარი
ნაშთი - 31.12.2020	55,173	-	(286,496)	(231,323)
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	4,000	-	-	4,000
გაცემული დივიდენდები	-	-	-	-
პერიოდის მოგება	-	-	(1,038,490)	(1,038,490)
ნაშთი - 31.12.2021	59,173	-	(1,324,986)	(1,265,813)
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	1,014,791	-	-	1,014,791
გაცემული დივიდენდები	-	-	-	-
პერიოდის მოგება	-	-	(2,319,736)	(2,319,736)
ნაშთი - 31.12.2022	1,073,964	-	(3,644,722)	(2,570,759)

შპს მაგალ

დირექტორის მინდობილი პირი დავით აბრამიშვილი



შპს „მაგალ“

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „მაგალ“ შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში (რეგისტრაციის თარიღი 01/10/2014). კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, გაგარინის ქ., N19. მისი ძირითადი საქმიანობაა გაყიდული ხილის წარმოება, იმპორტი და ექსპორტი.

დირექტორი - არი ბლეიერ, 561363458 /აშშ/

მესაკუთრე:

რაფიელ მაღალაშვილი, 01097001103 /ორმაგი მოქალაქე საქართველო, ისრაელი/ 20%

არი ბლეიერ, 561363458 /აშშ/ 80%

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულებში (ლარი).

უცხოური ვალუტა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. სამართლიანი ღირებულებით აღიარებული არაფულადი სახსრები, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, გადაყვანილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით იმ თარიღში, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება იქნა დადგენილი. გაცვლითი კურსით კონვერტაცია არ ეხება იმ არაფულად სახსრებს, რომლებიც უცხოურ ვალუტაში განსაზღვრულია ისტორიული ღირებულებით.

ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშვა.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსები შემდეგნაირია:

	2022	2021	2020
1 აშშ დოლარი/ლარი	2.7020	3.0976	3.2766
1 ევრო/ლარი	2.8844	3.5040	4.0233

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ყველანაირი სავაჭრო და ვადაზე ადრე გადახდაზე დამოკიდებული ფასდათმობებითა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მიუხედავად იმისა, რომ მოგების გადასახადის გადახდის სამართლებრივი ვალდებულება წარმოიქმნება მხოლოდ დივიდენდის გადახდის შემდეგ, ვალდებულების აღიარება ხდება დივიდენდის გამოცხადების თარიღისთვის, თუ მაღალია ალბათობა, რომ გადაწყვეტილება დივიდენდის გამოცხადებაზე არ გაუქმდება.

მოგების გადასახადის ხარჯი გამორიცხავს მოგების გადასახადს დასაბეგრ ხარჯებზე, რადგან აღნიშნული არ ეფუძნება მოგების გადასახადის ცნებას (ის აღიარდება, როგორც საოპერაციო ხარჯი მოგებაში ან ზარალში).

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე. წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

- შენობა-ნაგებობები 5 პროცენტი
- სატრანსპორტო საშუალებები 10 – 20 პროცენტი
- მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა 10 – 30 პროცენტი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები აისახება დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ხელმძღვანელობის შეფასების საფუძველზე, მაგრამ არ აღემატება 10 წელს.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების განხილვა, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის/კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებს პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული

სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

3. ცვლილებები წარდგენაში

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას აღმოჩენილია გარკვეული უზუსტობები წინა წლის ანგარიშგებაში, რის გამოც შესწორებული / რეკლასიფიცირებულია შესადარისი პერიოდის ზოგიერთი მუხლი. აღნიშნული კორექტირებები წარმოდგენილია ქვემოთ ნაჩვენებ ცხრილში:

კორექტირებული 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	თავდაპირველი წარდგენა	წინა წლის მონაცემების კორექტირება	კორექტირება / რეკლასიფიკაცია	
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	31,027	52,883	(21,856)	კორექტირება
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,137,137	1,181,505	(44,368)	კორექტირება
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	262,446	1,096,659	(834,213)	კორექტირება
სხვა	1,493,827	115,300	1,378,527	კორექტირება
სხვა მოკლევადიანი აქტივები	3,491,852	3,057,155	434,697	კორექტირება
თვითღირებულების მოდელით	201,111	201,089	21	კორექტირება
ძირითადი საშუალებები	2,052,607	2,051,953	654	კორექტირება
საიჯარო ვალდებულება	287,934	-	287,934	რეკლასიფიკაცია
სავაჭრო ვალდებულებები	1,430,410	2,149,378	(718,969)	კორექტირება
საგადასახადო ვალდებულებები	48,122	47,470	652	კორექტირება
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	6,776,871	6,778,521	(1,650)	კორექტირება
სხვა ვალდებულებები	1,392,482	1,409,108	(16,626)	კორექტირება
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	(1,324,986)	(2,687,107)	1,362,120	კორექტირება
დასაქმებულთა ანაზღაურება	(360,801)	(1,451,912)	1,091,111	კორექტირება
იჯარის ხარჯი	(308,639)	(297,319)	(11,320)	კორექტირება
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(450,723)	(467,326)	16,603	კორექტირება
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	(39,766)	(39,200)	(566)	კორექტირება

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

4. ძირითადი საშუალებები

	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობები	მანქანა-დანადგარე ბი და ტექნიკა	ოფისის ალჭურვილობა, ავიჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები
პერიოდი 01/01/2020	258,573	-	17,368	-	7,447
შემოსვლა	886,849	-	179,234	13,291	12,240
ცვეთა	-	-	(17,073)	(1,275)	(1,170)
ჩამოწერა	-	-	-	-	-
პერიოდი 31/12/2020	1,145,421	-	179,529	12,015	18,517
პერიოდი 01/01/2021	1,145,421	-	179,529	12,015	18,517
შემოსვლა	499,206	-	226,975	13,191	5,343
ცვეთა	-	-	(41,626)	(3,712)	(2,252)
ჩამოწერა	-	-	-	-	-
პერიოდი 31/12/2021	1,644,627	-	364,877	21,494	21,609
პერიოდი 01/01/2022	1,644,627	-	364,877	21,494	21,609
შემოსვლა	-	1,524,242	47,843	2,719	-
ცვეთა	-	(152,424)	(68,764)	(4,011)	(3,287)
ჩამოწერა	(1,644,627)	-	(187,565)	-	(13,138)
პერიოდი 31/12/2022	-	1,371,817	156,391	20,202	5,183

5. სხვა მიმდინარე აქტივები

	2022	2021	2020
გადახდილი ავანსები	109,336	108,196	237,922
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგი	607,376	1,493,827	622,930
გაცემული სესხები	1,030,000	154,250	27,050
მისაღები პროცენტები	154,250	-	-
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	3,558,450	3,001,011	1,574,779
საგადასახადო აქტივი	-	-	33,634
სხვა მოკლევადიანი აქტივები	551,231	490,841	-
სულ	6,010,643	5,248,125	2,496,315

6. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	2022	2021	2020
საიჯარო ვალდებულება	369,111	287,934	-
სავაჭრო ვალდებულებები	984,317	1,430,410	376,578
მიღებული ავანსები	1,317,011	1,315,882	-
გადასახდელი საპენსიო გადასახადი	99,202	65,185	14,465
სხვა ვალდებულებები	241,366	11,416	4,632
სულ	3,011,007	3,110,826	395,675

7. ამონაგები

	2022	2021
საქონლის გაყიდვიდან	2,144,591	2,470,637
სულ	2,144,591	2,470,637

8. ადმინისტრაციული ხარჯები

	2022	2021
დასაქმებულთა ანაზღაურება	(1,091,660)	(360,801)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	(268,708)	(47,590)
იჯარის ხარჯი	(407,163)	(308,639)
კომუნალური ხარჯი	(199,989)	(177,183)
საბუღალტრო მომსახურების ხარჯი	(21,879)	-
იურიდიული მომსახურების ხარჯი	(55,872)	(6,350)
საგადასახადო ხარჯი	(2,817)	(2,655)
სამეურნეო ხარჯი	(16,786)	(30,227)
საპენსიო ხარჯი	(17,009)	(25,360)
სხვა ხარჯი	(190,692)	(208,948)
სულ	(2,272,577)	(1,167,753)

9. ფინანსური შემოსავალი / ხარჯი

	2022	2021
საპროცენტო შემოსავალი	-	121,485
საპროცენტო ხარჯი	(79,871.11)	(199,520)
სულ	(79,871)	(78,035)

10. არასაოპერაციო შემოსავალი / ხარჯი

	2022	2021
საკუროს შემოსავალი / ხარჯი	(29,532.79)	(39,766)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / ხარჯი	(152,214.76)	-
სულ	(181,748)	(39,766)

11. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ანგარიშგების წარდგენის თარიღამდე კომპანიაში მნიშვნელოვან მოვლენებს აღილი არ ჰქონია.

12. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია 2023 წლის 29 სექტემბერს.

შპს მაგალ
დირექტორის მინდობილი პირი დავით აბრამიშვილი

